# დავით ტვილდიანის

## სამედიცინო უნივერსიტეტი

# სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი

2022

(განახლებული რედაქცია)

წინამდებარე წესი არეგულირებს უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობისა და ასევე, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესებს.

## 1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსი მოიპოვება:

### 1.1 ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის საფუძველზე:

აბიტურიენტთა მიერ, კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტაციის მიხედვით (უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, იხ. დანართი 1), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სპეციალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და დტსუ-ში დადგენილ ვადაში რეგისტრაციის გავლის საფუძველზე. უნივერსიტეტი, რექტორის ბრძანებით, არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა აფორმებს აბიტურიენტებთან ხელშეკრულებას და გამოსცემს ბრძანებას მათთვის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

**შენიშვნა:** თუ აბიტურიენტი უნივერსიტეტში არსებული რეგისტრაციის წესით დადგენილ პროცედურებს არ გაივლის, საამისოდ განსაზღვრულ ვადაში, მისი სტატუსი სტუდენტთა ერთიან ბაზაში არ გააქტიურდება. ამასთან პირს უფლება აქვს მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სტატუსის მინიჭების მოთხოვნით ერთიანი ჩარიცხვის ბრძანების გამოცემიდან მომდევნო წლის სექტემბერამდე. აღნიშნული უფლებით სარგებლობა გამორიცხავს აბიტურიენტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

### 1.2 ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მიერ, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეების მიერ, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) იმ პირების (გარდა ერთობლივი პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა) მიერ, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეების მიერ, რომლებიც ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ (არანაკლებ ერთი სასწავლო სემესტრის ფარგლებში 75 დღისა, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტით, იხ. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბერის N224/ნ ბრძანება) და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ზემოთ მითითებული პირებისათვის სტუდენტის სტატუსის მინიჭების მიზნით ხორციელდება: პირის მიერ უნივერსიტეტში სწავლის სურვილის შესახებ წერილობითი განაცხადის, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და ნიშნების ფურცლის (წინა განათლების დამადასტურებელი: ზოგადი და/ან ექვივალენტური განათლება) წარმოდგენა; დტსუ-ს უფლებამოსილი პირის მიერ აპლიკანტის საბუთების განხილვის, შეფასების და ანალიზის, აგრეთვე ინგლისური ენის ცოდნის დადგენის მიზნით გასაუბრების (რომლის ვიდეო ჩანაწერი ინახება აპლიკანტის დოკუმენტაციასთან ერთად და საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომია სამინისტროსათვის) და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების (იხ. დანართი 2) საფუძველზე მზადდება აპლიკანტის პროგრამაში ჩართვის მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნა და ყველა პირობის შესაბამისობის შემთხვევაში უნივერსიტეტი აცხადებს წინასწარ თანხმობას აბიტურიენტის სტუდენტად ჩარიცხვის

შესახებ მზაობაზე, რის საფუძველზეც აპლიკანტთან ფორმდება ხელშეკრულება და იხდის (ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში) პირველი სასწავლო წლის საფასურს და შეთანხმებულ ადმინისტრაციული ხარჯებს (თუ აპლიკანტი არ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე პირველი სასწავლო წლის საფასურისა და ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვა განიხილება აპლიკანტის მიერ უნივერსიტეტის სახელშეკრულებო პირობებზე თანხმობად).

აღნიშნული პირობების დაკმაყოფილებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსადმი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ მიმართვის საფუძველზე, გამოიცემა მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი აპლიკანტის მიერ სწავლის უფლების მოპოვების შესახებ, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტში გამოიცემა ჩარიცხვის და სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ რექტორის ბრძანება, მონაცემები აისახებ სტუდენტთა ერთიან რეესტრში.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე აბიტურიენტის დაშვების დაშვების წინაპირობას წარმოადგენს:

- უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ მინიმუმ ინგლისური ენის B1 დონის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის ქონა (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert®, EnglishScore და სხვ.) ან
- ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების შესაბამისი დოკუმენტის (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტებისთვის) და ასევე საქართველოს მოქალაქისთვის, რომელმაც ინგლისურ ენაზე უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი განათლება, ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომელიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდა უცხო ქვეყანაში და შესაბამისი დოკუმენტის (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა) ქონა ან
- უნივერსიტეტის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქის ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენციის დონის დასადგენად ორგანიზებული გამოცდის (რომელის მოიცავს: მოსმენას, წაკითხული ტექსტის გააზრებასა და ანალიზს, საუბარს) შედეგად ცოდნის ზემოხსენებული დონის დადასტურება (ძალაში შედის 2023 წლის 16 ნოებრიდან)

შენიშვნა: წინამდებარე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირების მიერ უნივერსიტეტში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით ჩაბარეული უნდა იქნას სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდა (რომლის ჩატარება ცენტრის მიერ უზრუნველყოფილი იქნება 2019 წლიდან) და წარმოდგენილი უცხოეთში ცხოვრებისა და ამ ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დამადასტურებელი მტკიცებულება, არანაკლებ 75 დღისა ერთი სასწავლო სემესტრის ფარგლებში).

**1.3** სტუდენტის სტატუსის მინიჭება ნიშნავს ჩარიცხულ სტუდენტისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრიის სტუდენტთა ერთიან რეესტრში რეგისტრაციას.

## 2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და მისი აღდგენა

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება, როგორც სასწავლებლის, ასევე სტუდენტის უფლება-მოვალეობის შესრულებისაგან დროებით განთავისუფლება, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს:
   ა) პირადი განცხადება;
   ბ) უნივერსიტეტში გამოუცხადებლობა
   გ) ფინანსური დავალიანება;
   დ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, დადასტურებული სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი ცნობით;

ე) უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, გარდა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სწავლა;

ვ)სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით 5წლამდე თავისუფლების აღკეთის შეფარდების შემთხვევაში.

2.1 უცხოელი სტუდებისათვის სტატუსის შეჩერების საფუძველი, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულისა არის - საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე სტუდენტის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობებისა და წესის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N572 დადგენილების დანართით გათვალისწინებული პირობების დარღვევა, კერძოდ სადაზღვევო პოლისის წარმოუდგენლობა.

3. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში.
4. სტუდენტის სტატუსის აღდგენის მიზნით პირი, რომელსაც სურს სტუდენტის სტატუსი აღიდგინოს მიმართავს უნივერსიტეტს განცხადებით.
5. ფინანსური დავალიანების გამო სტუდენტის სტატუს შეჩერებული პირის განცხადებას თან უნდა ახლდეს სწავლის საფასურის დავალიანების გადახდის ქვითარი;
6. უნივერსიტეტი განიხილავს განცხადებას და ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე რექტორის ინდივიუალურ-სამართლებრივი აქტით აღუდგენს სტუდენტს სტატუსს, რომელშიც უნდა მიეთითოს, რომელი სასწავლო წლიდან და სემესტრიდან შეუძლია სტუდენტს განაახლოს სწავლა.
7. სტუდენტის სტატსუსის აღდგენის შესახებ ბრძანება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემიდან ხუთი დღის ვადაში აისახება სტუდენტთა რეესტრში.
8. უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია, როგორც სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში, ასევე მისი გადაჭარბებით. უკანასკნელ შემთხვევაში ჩარიცხულ პირთა რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის სასწავლებლის მიერ დადგენილი მისაღები ადგილების რაოდენობას.
9. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან ჯამში 5 წლის გასვლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, რის შესახებაც გამოიცემა რექტორის შესაბამისი ინდივიდუალური აქტი (რომლის შედეგები ძალაში შედის გაცობიდან 12 თვის შემდეგ) და მისი ხელახლა მოპოვება ხორციელდება მხლოდ კანონით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით.

**3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სტუდენტის მიერ სასწავლებლის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის და ხელშეკრულების პირობების დარღვევა, სხვა სტუდენტისთვის შეუფერებელი ქცევა;

გ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;

დ) სტუდენტის მიერ სხვა სასწავლებელში სწავლის გაგრძლება (მობილობის ან/და მის გარეშე საფუძველზე);

ე) სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადის გასვლა;

ვ) სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკეთის შეფარდება;

ზ) გარდაცვალება.

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება  მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემიდან ხუთი დღის ვადაში აისახება სტუდენტთა რეესტრში.
3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანებით გათვალისწინებული შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან  თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით იმ შემთხვევაში, თუ მიმღები დაწესებულების წესდებას არ ეწინააღმდეგება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.
4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია მხლოდ კანონით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის ან/და უცხო ქვეყნისა მოქალაქისა და მოქალაქეობის არ მოქნე პირის მიერ დადგენილი პროცედურების განმეორებით გავლის შემთხვევაში.

**4. მობილობის უფლება და მისი შეზღუდვა**

1. სტუდენტების მობილობა ხორციელდება კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში.
2. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით ან/და მის გარეშე და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის აქვს სტუდენტის აქტიური ან შეჩერებული სტატუსი.
3. მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები (დტსუ-ს მიერ დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით. იხ. დანართი 1) ან/და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უნივერსიტეტში ჩარიცხვის მოთხოვნით მიმართა სამინისტროს-ცენტრს და რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული აქტის შემდეგ მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე.
4. იმ დაწესებულების სტუდენტები, რომელიც ლიკვიდირებული იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე,  დაკარგა ავტორიზაცია ან აღარ ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას, მობილობის უფლებით ისარგებლებენ მიუხედავად სწავლის პერიოდის ხანგრძლივობისა, იმ დათქმის გათვალისიწნებით რაც აღნიშნულია წინამდებარე პუნქტის მე-3 ნაწილში.
5. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს  მხოლოდ უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში,  უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ (გარდა ამავე პუნქტის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა); ამასთან სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. დაუშვებელია უმაღლესი განათლების ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე  მობილობის განხორციელება.

**5. მობილობის მსურველთა რეგისტრაციის პროცედურა**

მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციისა და სხვა უმაღლეს დაწესებულებაში გადასვლის საფასურის გადახდის შემდეგ.

**6. უნივერსიტეტში მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვება**

1. მობილობის მსურველი სტუდენტი, მობილობის გამოცხადებიდან მის დასრულებამდე ვალდებულია გამოცხადდეს უნივერსიტეტში და გაიაროს გასაუბრება.
2. მობილობის მსურველი მოიპოვებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას კანონმდებლობითა და ამავე წესის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების, უნივერსიტეტისადმი განცხადებით მიმართვისა და პირად საქმეში არსებული

დოკუმენტების (მათ შორის საგანმანათლებლო დოკუმენტი და ჩარიცხვის ბრძანება) ასლების წარმოდგენის შემთხვევაში.

3. მობილობის მსურველი, რომელიც უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.

**7. საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა**

1. უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას.
2. პროგრამის თავსებადობის დადგენას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით; ამასთან შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
3. მობილობის მსურველი პირის მიერ თითოეულ სემესტრში გავლილი პროგრამის უნივერსიტეტში არსებულ პროგრამასთან 75%-ანი თავსებადობის შემთხვევაში იგი სწავლას გააგრძელებს სასწავლო წლის შესაბამისი სემესტრიდან. ნაკლები %-ი თავსებადობის შეთხვევაში სტუდენტს შეიძლება მიენიჭოს სწავლის გაგრძელების უფლება პირველი სემესტრის შესაბამისი პროგრამით; ამასთან სწავლის დასრულებისა და სათანადო ხარისხის მინიჭების შემდეგ, სტუდენტისათვის გაცემულ დიპლომის დანართში მითითებული იქნება მის მიერ სხვა სასწავლო პროგრამის ფარგლებში გავლილი საგნებისა და მიღებული კრედიტების შესახებ ინფორმაცია.
4. ამ თავით დადგენილი თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია.
5. მობილობის მსურველ პირთა შორის კონკურსის შემთხვევაში უნივერსიტეტი გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კონკურსანტების მიერ დაფიქსირებული შედეგებით.
6. თავსებადობას ადგენს საკვალიფიკაციო საბჭო და მობილობით ჩარიცხვის შესახებ სათანადო აქტის გამოცემის მიზნით წარუდგენს რექტორს. საბოლოო აქტის გამოცემა კი უნივერსიტეტში რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნირების მინისტრის სათანადო ბრძანების შესაბამისად.
7. უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ან კურსდამთავრებულის მიერ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო აღიარების დოკუმენტის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტი.

**8. სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებული აქტების გამოცემა**

1. უნივერსიტეტი ცენტრს წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად.
2. ბრძანების პროექტზე ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა უნივერსიტეტის

რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად.

**9. სტუდენტთა შიდა მობილობა**

1. დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ შიდა მობილობის უფლებით;
2. უნივერსიტეტში არსებულ პროგრამებზე შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებში.
3. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, როცა მას შიდა მობილობის რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.
4. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების მე-3 სემესტრიდან მე-5 სემესტრამდე.
5. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება ეზღუდება სტუდენტს, რომელმაც სწავლების ძირითად ვადებში ვერ შეძლო 1-2 სემესტრის კრედიტ-საათების სრულად დაფარვა.
6. შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე და გამოიკვრება საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.
7. შიდა მობილობის განხორციელების მსურველი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, ბრძანებით დადგენილ ვადაში და შიდა მობილობის მსურველის სტატუსს მოიპოვებს რეგისტრაციის გავლის შემდეგ. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტი კარგავს მობილობის უფლებით სარგებლობის უფლებას;
8. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებენ ვაკანტურ ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, ხოლო კონკურსის შემთხვევაში ყურადღება მიექცევა GPA-ს.
9. შიდა მობილობის წესით სტუდენტის გადასვლის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება, ხოლო ხუთი დღის ვადაში ინფორმაცია აისახება სტუდენტთა ერთიან რეესტრში.

**10. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების, უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის დაკარგვის ან/და უფლებამონაცვლის გარეშე ლიკვიდაციისას სტუდენტის შემდგომი განათლების უზრუნველყოფა**

1. უნივერსიტეტში მოქმედებს ორი აკრედიტირებული პროგრამა; სტუდენტებს ერთ-ერთი მათგანის შეცვლის, გაუქმების ან/და პროგრამისათვის განსაზღვრული ქვოტის ფარგლებში, შეუძლიათ ისარგებლონ შიდა მობილობით.
2. უნივერსიტეტში ორივე პროგარამის გაუქმების ან უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის დაკარგვის ან/და უფლებამონაცვლის გარეშე ლიკვიდაციის შემთხვევაში სტუდენტებს, უნივერსიტეტის მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შუამდგომლობისა და სხვა უნივერსიტეტებთან ურთიერთათანამშრომლობის საფუძველზე მიეცემათ მობილობის საფუძველზე სწავლის შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობა.

**დანართი 1**

**დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის საფუძველზე მოპოვებისათვის დადგენილი კრიტერიუმები**

აბიტურიენტი დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად, ვალდებულია ერთიან ეროვნული გამოცდებზე აკმაყოფილებდეს წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:

**კომპეტენციის ზღვარი:**

ქართული ენა და ლიტერატურა - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი მინიმალური ზღვარი

უცხოური ენა (პროგრამის სწავლებისა და შესრულების ნაწილში გამოიყენება ინგლისურ ენოვანი კომპონენტები, შესაბამისად სავალდებულოა ინგლისური ენის კარგად ცოდნა) – 70%

მათემატიკა - 60%

ფიზიკა - 60%

ქიმია - 60%

ბიოლოგია - 65%

**შენიშვნა:** მინიმალური ზღვარი აბიტურიენტის მიერ გადალახულია თუ სტუდენტმა სწორად უპასუხა შესაბამისი საგამოცდო საგნის დავალებათა საერთო რაოდენობის მითითებულ პროცენტს დამატებული ერთი.

დაწესებულება აკადემიურ პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის ფორმირებისას განსაზღვრავს სავალდებულო და არჩევით საგნებში აბიტურიენტის მიერ დაფიქსირებული შედეგების პრიორიტეტულ ადგილს, ამასთან არჩევითი საგნის შესაბამისად განსაზღვრავს მისაღები ადგილების ქვოტას, რომელიც უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამისა და სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით შეიძლება იყოს განსხვავებული.

საგამოცდო საგნების ადგილები უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტთა ჩამონათვალში ნაწილდება შემდეგნაირად:

არჩევითი საგანი - უცხოური ენა - ქართული ენა და ლიტერატურა

წინამდებარე კრიტერიუმების დაკმაყოფილება სავალდებულოა იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებიც დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის უფლებას მოიპოვებენ მობილობის გზით, კერძოდ მობილობის გამოცხადების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა გაითვალისწინოს დტსუ-ში მიღების (მობილობის) წელს უნივერსიტეტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კომპეტენციის ზღვარისა და პრიორიტეტების შესახებ დადგენილი მოთხოვნები.

წინამდებარე კრიტერიუმები სტუდენტების შედეგების, აკადემიური პროგრესის მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე შეიძლება შეიცვალოს, რაც მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

**დანართი 2**

**დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე მოპოვებისათვის დადგენილი კრიტერიუმები**

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად შეუძლიათ:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) იმ პირებს (გარდა ერთობლივი პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

**უცხო ქვეყნის მოქალაქეების/მოქალაქეობის არმქონე პირების მიერ** სტუდენტის სტატუსის მოპოვების მიზნით აბიტურიენტის მიერ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოთხოვნები:

წარმოდგენილი იქნას უნივერსიტეტში სწავლის სურვილის შესახებ წერილობითი განაცხადი,

განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და ნიშნების ფურცელი,

ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ძალაში შედის 2023 წლის 16 ნოებრიდან),[1]

სამოტივაციო წერილი - „რატომ მინდა გავხდე ექიმი“ – (არაუმეტეს 500 სიტყვა)

ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო ე.წ MCQ - ტიპის, ინგლისურ ენოვანი, კომპლექსური ტესტი ქიმია-ბიოლოგიაში (გარდა იმ საქართველოს მოქალაქეებისა, რომლებიც აბარებენ შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ ორგანიზებულ გამოცდას, თანახმად საქართველოს კანონმდებლობისა).

დტსუ-ს უფლებამოსილი პირის მიერ აპლიკანტის საბუთების განხილვის, შეფასების და ანალიზის, აგრეთვე ინგლისურის ენის ცოდნის დადგენის მიზნით გასაუბრების შემდეგ აპლიკანტის პროგრამაში ჩართვის მიზანშეწონილობის შესახებ დადებითი დასკვნა (მოქმედებს დარგობრივი დოკუმენტის ამოქმედებამდე).

**საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ,** სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სურვილი აქვთ სტუდენტის სტატუსის მოიპოვონ დტსუ-ში უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

ჩააბარონ, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდა (2019 წლიდან), კომპეტენციის ზღვარით - 60%;

---

[1] მინიმუმ ინგლისური ენის B1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert®) ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული სტანდარტიზებული გამოცდების შედეგად დადასტურებული ცოდნის ზემოხსენებული დონე ან უცხო ქვეყანაში ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების მქონე აბიტურიენტებისათვის - შესაბამისი დოკუმენტი (მაგ. ატესტატი, სერტიფიკატი) (საქართველოს მოქალაქეებისთვის - მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით - კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 52, პუნქტი 3). *მოთხოვნა ძალაში შედის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან 1 წლის შემდეგ.*

წარმოადგინოს ინგლისურის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი[2].

**გარდამავალი, დროებითი ღონისძიებები (მოქმედებს 2020-2021 სასწავლო წლის ვადით)**

ქვეყნისა და მსოფლიო მასშტაბით პანდემიის გამო შექმნილი გარემოებები გახდა წინაპირობა უნივერსიტეტში მოქმედი „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი“-ს განმარტების, ახალ გარემოებებთან ადაპტაციის მიზნით და დამატებითი რეგულაციების შემოტანის და უნივერსიტეტის მიერ წინამდეაბრე პუნქტების შემუშავებისა.

ახალი გარემოებები, რეგულაციები არ ცვლის უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტთა პროგრამაზე დაშვების და სწავლის აღიარების წესებსა და მოთხოვნებს, ამასთან უშვებს მათი ადმინისტრირებისა და პრაქტიკული განხორციელებისათვის შესაძლებლობებს; უშვებს გარკვეული პროცედურების on-line განხორციელების, სტუდენტების სტატუსის მოპოვებისათვის ახალ ვადებს და/ან აბიტურიენტებთან ინდივიდუალურ დამატებით შეთანხმებას.

1. წინამდებარე დოკუმენტის 1.2 მუხლში უცვლელად რჩება დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველთა კატეგორიზაციის შესახებ პუნქტები ( იხ. 1.2 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები) და არ იცვლება ამავე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები და პროცედურები.

2. დოკუმენტის დანართით N2 გათვალისწინებული მოთხოვნას - „ტესტური გამოცდის ჩაბარება“-ს, საგამოცდო ცენტრი აორგანიზებს შიდა საუნივერსიტეტო, MCQ ტიპის ინგლისურენოვანი ფორმატის ტეტს - ქიმია-ბიოლოგიაში - დისტანიურად;

3. საბუთების მიღება წარმოებს დისტანციურად, რაც გულისხმობს:

- ✓ ატესტატის და ნიშნების ფუცლის ორიგინალი დოკუმენტების, სტუდენტის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ წარმოდგენის შესაძლებლობას;
- ✓ ხელშეკრულება სტუდენტის უფლებების, ვალდებულებების შესახებ იდება 2 ეტაპად:
  I ეტაპი - (ცოცხალი ხელმოწერის გარეშე) განიხილება წინარე ხელშეკრულებად, რომელიც საფუძველია სტუდენტის სტატუსის მინიჭების, მისი რეესტრში ასახვის, მოწვევის წერილის/რეკომენდაციის გაცემის (შავიზო აპლიკაციის მიზნებისთვის) და on-line ფორმატში სწავლის დაწყების;
  ხოლო II ეტაპი გულსხმობს - ორიგინალი დოკუმენტებისა და ძირითადი ხელშეკრულების გაფორმებას; კერძოდ: სტუდენტს სემესტრის ბოლოსთვის კრედიტების აღიარების მიზნით უტარდება მოდულური გამოცდები[3] , რომელიც უნდა განხორციელდეს სტუდენტის ადგილზე ფიზიკური გამოცხადებით; ამავე პერიოდში მას საშუალება და ვალდებულება ექმნება ორიგინალი საბუთების წარმოდგენისა და ძირითადი ხელშეკრულების გაფორმების;
- ✓ ზემოაღნიშნული ეხება ყველა იმ აპლიკანტს, რომელთა მიმართაც გამოცემულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სწავლის უფლების მოპოვების შესახებ.

---

[2] მინიმუმ ინგლისური ენის B1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert®) ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული სტანდარტიზებული გამოცდების შედეგად დადასტურებული ცოდნის ზემოხსენებული დონე ან უცხო ქვეყანაში ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების მქონე აბიტურიენტებისათვის - შესაბამისი დოკუმენტი (მაგ. ატესტატი, სერტიფიკატი) (საქართველოს მოქალაქეებისთვის - მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით - კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 52, პუნქტი 3). *მოთხოვნა ძალაში შედის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან 1 წლის შემდეგ.*

[3] გამოცდაზე დაშვების წესი უცვლელია და მოითხვს სათანადო (განსაზღვრული სქემით) დონეზე ყველა კურსში პრექვიზური ქულების მიღებას.

4. გამონაკლისის წესით, პანდემიის მიმდინარეობის პირობებში, მსმენელის სტატუსით on-line სწავლებაზე შეიძლება დაშვებული იქნას პირი, რომელსაც დაკმაყოფილებული აქვს ყველა წინაპირობა (შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების ჩათვლით), რაც დადგენილია წინამდებარე წესით; ამასთან იგი „ელოდება“ განათლების სამინისტროს მიერ გაცემულ სწავლის უფლების მოპოვების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ასეთ პირებთან ფორმდება პირობადადებული ხელშეკრულება.

- ✓ მსმენელის სტატუსის მქონე პირს ეკისრება ყველა აკადემიური ვალდებულება, რასაც ითვალისწინებს სასწავლო პროგრამა, მათ შორის კრედიტების აღიარების ნაწილში; ასეთ სტუდენტს მსმენელის სტატუსი უნარჩუნდება განათლების სამინისტროდან შესაბამისი სწავლის უფლების მოპოვების შესახებ აქტის გამოცემამდე; ასეთის შემდგომ, მასთან იდება I ეტაპად განსაზღვრული - წინარე ხელშეკრულება (იხ. ზემოთ) და გარდამავალი დებულებებით გათვალისწინებული ყველა ზემოთაღნიშნული პროცედურა, რაც აისახება სტუდენტის სტატუსის მინიჭებისა და რეესტრში ასახვის პროცედურაზე.

5. წინამდებარე დებულების ძირითადი ნაწილის მე-2 პუნქტის მე-9 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჯამური ვადის ათვლა, იმ სტუდენტებისათვის, რომლებმაც სტატუსი შეიჩერეს 2024 წლის 01 მარტამდე, დაიწყოს 2024 წლის 01 მარტიდან.

**ცვლილებები განხორცილებულია 2019 წელს**
**ცვლილებები განხორცილებულია 2021 წელს**
**ცვლილებები განხორცილებულია 2022 წელს**
**ცვლილებები განხორციელებულია 2023 წელს**
**ცვლილებები განხორციელებულია 2024 წელს**